ახალი
# განთიადი

,,შვენიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული,,



განთიადი

85 წელი თქვენთან ერთად!

2017 წელი 26 ივნისი № 6 № 8123

ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com



გვ3. “ლექსო ამოუთქმელ”...

სად და რატომ ჩატარდება სახალხო მთქმელთა შეხვედრა? გვ3.

2013 წლიდან საბავშვო ბაღები უფასო გახდა... გვ5.

## ნიაბის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია

გვ2.

## შეხვედრა ლატვიის ელჩთან

გვ2.





საზეიმო მარათონი არა მხოლოდ ბავშვებისთვის გვ6.

## თვალადის საჯარო სკოლის მშენებლობა



## ჩვენი ქალაქი ჩვენი სახლია, ვიცხოვროთ სუფთა გარემოში

გვ2.



ხალხური და საესტრადო სიმღერის მუნიციპალური კონკურსი გვ9.




## გარემოს დაბინძურების ფაქტზე საჯარიმო სანქცია ძალაში შევიდა

გვ5.



“მუსიკოსები უკრავენ მომავალი მუსიკოსები-სთვის” გვ8.

## გელა თიგიშვილის დაბადების დღე

გვ2.

“ლექსად თქმული ქართლის ცხოვრება” გვ7.



## ზურაბ მუზაშვილის მემორიალთან

მე რუსთაველის ქვეყნიდან ვარ გვ4.



## ვეფხისტყაოსნის 850 წლის იუბილე

გვ4.

ქართული მუსიკის საღამო. გვ6.



,,გვაქვს ერთგვარი ღირსება,, გვ4.



გამოიწერეთ “ახალი განთიადი” გახდით ჩვენი მკითხველი!

## ნიაბის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია

ნიაბის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის მიმდინარე სამუშაოები შპს "საქართველოს მელიორაციის" გენერალურმა დირექტორმა არჩილ ბუკიამ, თეზი-ოკამის და დოეს-გრაკლის სერვის-ცენტრის უფროსმა დავით ხუციშვილმა და კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ ზაზა მარიდაშვილმა დაათვალიერეს.





კასპის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს - ნიაბის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის პირველი და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია. ასევე მდინარე თეძამზე უკაშხალო გვერდითი წყალაღების სათავე ნაგებობების მოწყობის სამუშაოები.

სამუშაოების დასრულების შემდეგ წყალუზრუნველყოფილი, ანუ გასარწყავებული იქნება 515 ჰექტარი.



## შეხვედრა ლატვიის ელჩთან

შპს "ბესიკ ნიპარიშვილი" მრავალპროფილიან სკოლა-გიმნაზიაში, სადაც ოკუპაციის მუზეუმია გახსნილი, ლატვიის ელჩი საქართველოში იანის ზლამეცი სტუმრობდა. შეხვედრა პროექტის ,,არა ოკუპაციას" ფარგლებში გაიმართა.

ელჩმა ისაუბრა საქართველოში რუსულ აგრესიასა და საკუთარი ქვეყნის გამოცდილებასთან ერთად იმ საფრთხეებზე, რაც დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისას ხვდებოდა ქვეყნებს პოსტსაბჭოთა სივრცეში.

ლატვიის ელჩთან შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი, კასპის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი მეზურნიშვილი და კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი.




## ზურაბ მუზაშვილის მემორიალთან

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ აღაიანის ცენტრში მეხანძრე-მაშველ ზურაბ მუზაშვილის მემორიალთან, მისი ხსოვნის ორი წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

(სიკვდილის შემდეგ) "სამოქალაქო თავდადებისთვის" მედლით დააჯილდოვა.

ზურაბ მუზაშვილის ხსოვნას პატივი მიაგეს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ მერაბ მალანიამ, სამინისტროს სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა, შიდა ქართლის მხარის გუბერნატორის პირველმა მოადგილემ იოსებ ოქრომელიძემ, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, პირველმა მოადგილემ ჯამბოლატ ქამხაძემ, მუნიციპალიტეტის და სოფლის მოსახლეობამ, ბავშვებმა, რომლებმაც გვირგვინებითა და ყვავილებით შეამკეს მემორიალი.



ზურაბ მუზაშვილმა 2015 წლის 13 ივნისს, თბილისის სტიქიის დროს 7 ადამიანი გადაარჩინა და თვითონ შეეწირა ტრაგედიას.

2016 წელს ზურაბ მუზაშვილი საქართველოს პრეზიდენტმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობის, სამაგალითო მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და თავდადებისათვის

## თვალადის საჯარო სკოლის მშენებლობა



სოფელ თვალადში საჯარო სკოლის მშენებლობა მალე დასრულდება. სასკოლო კომპლექსის ძირითადი სასწავლო შენობა ტერიტორიის შუა ნაწილშია განთავსებული. შენობა 120 მოსწავლეზეა გათვლილი. აშენდა საბავშვო სათამაშო მოედანი, სპორტული დარბაზი და მოეწყო ორი სარეკრეაციო ზონა.

თვალადის ახალი სკოლის პირველ სართულზე ექვსი საკლასო ოთახი და დაწყებითი კლასებისთვის ერთი კაბინეტი განთავსდა. პროექტის მიხედვით, სკოლას ექნება ბიბლიოთეკა წიგნსაცავით და ინფორმატიკის კაბინეტი. სკოლა აღიჭურვება ახალი ინვენტარით. სკოლა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაკვეთით აშენდა. პროექტი, რომლის ღირებულებაც 2 442 987 ლარია, 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა. სამუშაოებს შპს "საბაკონტრაქშენი" ახორციელებს.

2017-2018 ახალ სასწავლო წელს თვალადელი მოსწავლეები და პედაგოგიური კოლექტივი ახალ, თანამედროვე კეთილმოწყობილ სკოლაში შეხვდებიან.



## ჩვენი ქალაქი ჩვენი სახლია, ვიცხოვროთ სუფთა გარემოში

გარემოს, ქუჩების დანაგვიანების პრობლემა ქვეყანაში და ჩვენს მუნიციპალიტეტშიც სამწუხაროდ აქტუალურია. მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეები, ახალგაზრდები, სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები ხშირად მართავენ ქუჩების და საკუთარი ეზოს დასუფთავების ფართომასშტაბიან აქციებს. სამწუხაროდ მოსახლეობის ნაწილი, ნარჩენებს ქუჩაში და ურნის მიღმა ყრის. მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, ქალაქის და გარემოს დასაცავად გამოიყენოს საქართველოს კანონი - ნარჩენების მართვის კოდექსი, რომელიც ჯარიმებს ითვალისწინებს. კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებმა კასპსა და სოფლებში გამაფრთხილებელი საინფორმაციო ფურცლები დაარიგეს.

მოსახლეობა წინასწარ გაეცნობა საქართველოს კანონის, ნარჩენების მართვის კოდექსის საჯარიმო სანქციებს.

**,,ახალი განთიადი,, ეძებს საინტერესო სურათებს რაიონის საგაზეთო ფოტო-მატიანის შესაქმნელად. თხოვნით მივმართავთ თანარაიონელებს - დატოვეთ თქვენი კვალი ჩვენს მატიანეში!**

**გამოგვიგზავნეთ საინტერესო ფოტოები!**

## გელა თიგიშვილის დაბადების დღე



სოფელ კოდისწყაროში უმცროსი სერჟანტის გელა თიგიშვილის ხსოვნას პატივი მიაგეს კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, მოადგილემ ზაზა მარიდაშვილმა და სსიპ ,,ვეტერანების საქმეთა სამსახურის" წარმომადგენლებმა.

გელა თიგიშვილი ცხინვალთან, 2008 წლის აგვისტოს, რუსეთის საავიაციო იერიშის დროს დაიღუპა მოწინავე პოზიციაზე მდგარ თანამებრძოლებთან ერთად.

საქართველოს მთავრობამ გარდაცვალების შემდეგ გელა თიგიშვილი დააჯილდოვა მედლით "სამშობლოსათვის თავდადებული" და ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

# "ლექსო ამოგთქომ"...

## ანუ სად და რატომ ჩატარდება სახალხო მთქმელთა შეხვედრა?

ომარ კელაპტრიშვილის სახელობის კავთისხევის სახლ-მუზეუმს სტუმარი არ ელევა. თვალსაჩინო მუსიკოს-შემსრულებლის მშობლიურ სოფელში, ისე როგორც მის სიცოცხლეში, ახლაც იმართება სალონური შეხვედრები, ლიტერატურული ღონისძიებები, საზეიმო და ფოლკლორული საღამოები, აქ ხშირად იკრიბებიან ომარ კელაპტრიშვილის შემოქმედების დამფასებლები, საქვეყნოდ აღიარებული ხელოვანები, თეატრალები, ქართული კინოს სახეები, მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, კომპოზიტორები, სახელოვანი ინტელიგენციის წარმომადგენლები... სულ ახლახან კი, სახლ-მუზეუმის თაოსნობითა და ორგანიზებით ქართული ფოლკლორის ზეიმი გაიმართა. ამ ლამაზი ღონისძიების მხარდამჭერი გახლდათ კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება (დირექტორი გივი მელაძე) და კულტურის სამსახური (ხელმძღვანელი თეა ხორბალაძე), საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი "ახალი განთიადი".



დედაქალაქიდან მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ ქართული ფოლკლორის ცნობილი წარმომადგენლები პოეტი და საზოგადო მოღვაწე ეთერ თათარაიძე, მისი მეუღლე, მწერალი და პუბლიცისტი, ფოლკლორის პოპულარიზატორი ამირან არაბული, ცნობილი კომპოზიტორი მერაბ მერაბიშვილი, საქართველოს ფოლკლორის ცენტრის წარმომადგენლები და ხალხურ საკრავთა მუსიკოს-შემსრულებლები...

შეკრებილ საზოგადოებასა და მოწვეულ სტუმრებს მიესალმა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი და მადლობა გადაუხადა ღონისძიებაში მონაწილეობისათვის. საინტერესო მოგონებით გამოვიდა კომპოზიტორი მერაბ მერაბიშვილი, რომელმაც გაიხსენა ომარ კელაპტრიშვილთან გატარებული წლები. ამაღლებული, შთამბეჭდავი იყო ეთერ თათარაიძის გამოსვლა, რომელმაც შეკრებილ საზოგადოებას გააცნო თავისი ახალი ლექსები, თან მოიშველია ხალხური პოეზიის ნიმუშები და ქართული ლექსისა და სიტყვის ტრფიალ საზოგადოებას დაუვიწყარი წუთები აჩუქა.

— გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში დიდი ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ დაწყებული საყოველთაოდ ცნობილი ფოლკლორული შეხვედრები და ზეიმი სახელწოდებით "ლექსო ამოგთქომ" — ისევ აქტუალურია და მას ბევრი მხარდამჭერი ჰყავს, — განაცხადეს სახლ-მუზეუმში სტუმრობისას ფოლკლორისტებმა ეთერ თათარაიძემ და ამირან არაბულმა, — საქმე ის გახლავთ, რომ ხალხური ზეპირსიტყვიერების უიშვიათესი მარგალიტების მოსაძებნად და გადასარჩენად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩვენი ინიციატივით ეწყობა ექსპედიციები, რომლის დროსაც მოძიებული უძვირფასესი ფოლკლორული მასალა ერთად შეიკრიბა და ქართველმა მკითხველმა უკვე იხილა წიგნები, რომელსაც ახლა საჩუქრად გადავცემთ ომარ კელაპტრიშვილის სახლ-მუზეუმს.

სხვათა შორის, აქაურებმა და არა მხოლოდ მათ, გვინდა იცოდნენ, რომ ამ ცოტა ხნის წინ, რუსთაველის თეატრში გაიმართა ფოლკლორული საღამო სახელწოდებით "ლექსო ამოგთქომ" და გარწმუნებთ, მსგავსი ღონისძიებები ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონშიც ჩატარდება და ისე, როგორც ადრე, კვლავაც პოპულარული გახდება.

სხვათა შორის, კავთისხევში გამართულ შეხვედრაზე ქალბატონმა ეთერ თათარაიძემ და ბატონმა ამირან არაბულმა სამომავლოდ ფრიად სასიხარულო და მნიშვნელოვანი ღონისძიება დააანონსეს. დიახ, ამ დღეს გადაწყდა, რომ ორი სასიქადულო მამულიშვილის, ჩვენი თანარაიონელი ვახუშტი კოტეტიშვილისა და ომარ კელაპტრიშვილის ხსოვნის პატივსაცემად პირველად საქართველოს რეგიონებს შორის სწორედ კასპის რაიონში ჩატარდეს ტრადიციული ფოლკლორული ღონისძიება — "ლექსო ამოგთქომ".



— ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ კასპის რაიონი ერთ-ერთი გამორჩეული და უმდიდრესია არა მარტო ისტორიული თუ კულტურული ძეგლებით, არამედ, იგი ფოლკლორის, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებითა და განთქმული მელექსეებითაც არის ცნობილი, — განაცხადა კავთისხევის სახლ-მუზეუმის დირექტორმა ომარ კელაპტრიშვილმა (უმცროსი), განსაკუთრებით კი, მთიანი კუთხეები, — ამიტომ მიღებულია ერთობლივი გადაწყვეტილება, ივლისის დასაწყისში რაიონის მასშტაბით მოეწყობა ექსპედიცია, რომლის ორგანიზებულად ჩატარებაში ხელშემწყობი იქნება მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, მუზეუმების გაერთიანება და კულტურის სამსახური. მოეწყობა შეხვედრები სახალხო მთქმელებთან, სოფლებში შეგროვდება ჯერ კიდევ შემონახული ფოლკლორული ნიმუშები და სავარაუდოდ შემოდგომაზე, კასპში ჩატარდება სახალხო მთქმელთა ფოლკლორის ზეიმი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სახლ-მუზეუმში გამართული ფოლკლორის ზეიმის გვირგვინი გახლდათ ბავშვთა და მოზარდთა ქართულ-ხალხურ საკრავთა ფოლკლორული ანსამბლის "თამარისის" (ხელმძღვანელი თამარ ზარქუა) მიერ წარმოდგენილი მრავალფეროვანი და საინტერესო პროგრამა, რომელმაც დიდი მოწონება და აპლოდისმენტები დაიმსახურა.

გლობალიზაციის ეპოქაში გახსნილ საზღვრებსა და ახალი საუკუნის მოტანილ მრავალ სასურველ (თუ არასასურველ) ცვლილების ფონზე ეროვნული ფასეულობების დაცვა-გადარჩენის საქმე იმედია, მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება ჩვენ შვილებს.

**კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.**



# მე რუსთაველის ქვეყნიდან ვარ

## ,,გვაქვს უთვალავი ფერითა,,

რუსთველის ვეფხისტყაოსნის შესწავლას საფუძველი XVIII საუკუნის 10-იანი წლებიდან ჩაეყარა, როდესაც 1712 წელს თბილისში, ვახტანგ მეექვსის მიერ დაარსებულ სტამბაში, გამოვიდა ვეფხისტყაოსნის პირველი ბეჭდური გამოცემა. დღეს უკვე ეჭვს აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ ვახტანგმა კრიტიკულად დაადგინა ტექსტი, გაწმინდა ის ინტერპოლატორთა ჩანართებისა და გაგრძელებებისაგან და დაურთო ვრცელი თარგმანი, ანუ კომენტარები. ტექსტის შინაარსობრივ-იდეური ინტერპრეტაციის გარდა (სწორედ ვახტანგ მეექვსემ ჩაუყარა საფუძველი ვეფხისტყაოსნის შინაარსის რელიგიურ-მისტიკურ განმარტებას), თარგმანში განხილულია რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვანი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხი. ასე რომ, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი შეიძლება მივიჩნიოთ რუსთველის პოემის პირველ მეცნიერულ-კრიტიკულ გამოცემად.

შოთა რუსთაველის გენიალური პოემა "ვეფხისტყაოსანი" თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა ორმოცდაათზე მეტ ენაზე და იგი მრავალი ერის კუთვნილება გახდა. საქართველოში წიგნის ბეჭდვის შემოღებამდე "ვეფხისტყაოსანი" ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა. ხელნაწერი პოემა დიდ ფასეულობად ითვლებოდა და ქართული ტრადიციის მიხედვით, მას როგორც საოჯახო რელიკვიას, ქალიშვილს მზითვად ატანდნენ.

ჩვენს დრომდე მოაღწია "ვეფხისტყაოსნის" 153- მა ხელნაწერმა, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ საფუძვლად უდევს 1712 წლის პირველი ბეჭდვითი გამოცემის ტექსტს, რომელიც დაისტამბა თბილისში ვახტანგ მეექვსის რედაქციითა და მისივე "თარგმანით"...

რუსთაველის უკვდავი პოემის "ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტი მოქცეულია სიკეთის ფილოსოფიის ჩარჩოებში. მთავარი აზრი, რომელიც საფუძვლად უდევს ნაწარმოებს, კეთილის მარადიულობა, მისი ძლევამოსილება და ამასთანავე, ბოროტის ხანმოკლეობა და წარმავლობაა.

"ვეფხისტყაოსნის" გმირები იბრძვიან სიკეთისათვის, მიაჩნიათ რა იგი ბედნიერების პირობად. ბრძოლის შედეგად ბოროტება მარცხდება და ბედნიერება გადატანილი ტანჯვა-წამების ძალით განიზომება...



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თაოსნობითა და ხელშეწყობით შოთა რუსთაველის გენიალური პოემის "ვეფხისტყაოსნის" 850 წლის იუბილე ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ღონისძიებით აღინიშნება. ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით 27 მაისს გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაუვიწყარი ღონისძიება გაიმართა.

საგამოფენო დარბაზი სავსე იყო "ვეფხისტყაოსნისა" თუ რუსთველოლოგიური ნაშრომებით. დამთვალიერებლები, რომელთა შორის იყვნენ მოსწავლეები და ახალგაზრდები, ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები, ინტერესით ათვალიერებდნენ მუზეუმის ფონდებში დაცულ სხვადასხვა წლებში დასტამბულ "ვეფხისტყაოსნის" უნიკალური გამოცემების გამოფენას, აქვე იყო წარმოდგენილი, რუსთველოლოგიური ნაშრომების უიშვიათესი ექსპონატები და კერძო პირთა ოჯახებში შემონახული წიგნები...

— სამთავრობო ღონისძიების, "მე რუსთაველის ქვეყნიდან ვარ" — ორგანიზებულად ჩატარებისათვის საგულდაგულოდ ვემზადებოდით, ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი ექსპონატები შინაარსობრივად მრავლის მთქმელი ყოფილიყო, — განაცხადა მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩადუნელმა, — მინდა ჩვენს თანაქალაქელებს და არა მხოლოდ მათ შევახსენო, რომ კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს საამისოდ ნამდვილად გააჩნია მდიდარი რესურსი. საქმე ის გახლავთ, რომ ჯერ კიდევ 1976 წელს ჩვენმა თანარაიონელმა, ზემოხანდაკელმა, წარსულში ცნობილმა ფალავანმა ვლადიმერ (ლადო) გოგიბედაშვილმა იმ ხანად რაიონში გამართულ ივანე ჯავახიშვილის ასი წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო დღეებში მუზეუმს, სხვა საინტერესო სამუზეუმო ექსპონატებთან ერთად საჩუქრად გადასცა 40- მდე სხვადასხვა ენაზე გამოცემული "ვეფხისტყაოსანი" და



რუსთველოლოგიური ნაშრომი. სხვათა შორის, გოგიბედაშვილისეულ უმდიდრეს კოლექციას ამშვენებს 1937 წელს, რუსთაველის საიუბილეოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერითა და დაფინანსებით გამოცემული "ვეფხისტყაოსანი". საინტერესო გახლავთ ის ფაქტიც, რომ ამ უმდიდრეს კოლექციაში "ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთი ეგზემპლარი თარიღდება 1888 წლით. უდავოდ საინტერესო და ყურადსაღები გამოფენა იხილა დამთვალიერებელმა.



წარმოდგენილი იყო გენიალური პოემის რუსულ, აფხაზურ, ოსურ და ფრანგულ ენებზე დაბეჭდილი გამოცემები. ერთი სიტყვით, შეხვედრა ისტორიის, ქართული ლიტერატურისა და პოეზიის ნამდვილი დღესასწაული იყო.

ზეიმში მონაწილეობა მიიღეს კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების /დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი/ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის / დირექტორი ლელა პეტრიაშვილი/ ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის წრის /მასწავლებელი ნანა მერებაშვილი / ბავშვებმა: ქეთი ჭალისურმა, მარიამ კაციაშვილმა, მაია თაბუაშვილმა, ანა ბაისონაშვილმა, თამარ გოჭოშვილმა, მიხეილ სამხარაძემ, სალომე სამხარაძემ, მარიამ მერებაშვილმა, ლუკა მერებაშვილმა, ანზორ დალაქიშვილმა, ლუკა სპანდერაშვილმა, უჩა გოგოლაძემ.

მოსწავლეებმა მხატვრულად წაიკითხეს "ვეფხისტყაოსნის" აფორიზმები, ისაუბრეს პოემის შინაარსზე, საკუთარ დამოკიდებულებაზე მთავარი გმირების ბედსა თუ უბედობაზე ... მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელებს აქტიურობისა და ორგანიზებულობისათვის საპატიო სიგელები გადასცა კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა გივი მელაძემ.



მუზეუმი გვიანობამდე მასპინძლობდა სტუმრებს, მიმდინარეობდა კასპის რაიონის ისტორიისა და კულტურის ამსახველი ვიდეოფირის ჩვენება. მუზეუმში გამართული შეხვედრა დადებითად შეაფასა კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ და მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს.

**კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.**

"ისე, ვით ჰომეროსი ელადაა, დანტე იტალია, კალდერონი და სერვანტესი — ესპანეთი, რუსთაველი საქართველოა. ყოველი მათგანი არა მარტო სამარადისო დიდებით აღზევებული პოეტია, არამედ სხივმოსილი განსახიერებაა სულისა, წარმოჩენა მთელი ერის საგანძურისა, ამ სულით რომ გამობრწყინებულა და ამ სულშივე დიდებულ და განუმეორებელ ყვავილად აღმოცენებულა."

კონსტანტინე ბალმონტი.

## გარემოს დაბინძურების ფაქტზე საჯარიმო სანქცია ძალაში შევიდა

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლებმა გარემოს დაბინძურების პროცესმა სოფლებში გადაინაცვლა. მოსახლეობა წინასწარ ეცნობა საქართველოს კანონს, ნარჩენების მართვის კოდ-



წინააღმდეგ და დაცვასთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის 25 მაისიდან მუნიციპალიტეტის ტერი- ექსის საჯარიმო სანქციების შესახებ. სოფელ ფერმაში, მდინარე ქსნის ნაპირზე გარემოს დაბინ-



ტორიაზე გამაფრთხილებელი საინფორმაციო ფურცლების დარიგება დაიწყეს. საინფორმაციო ფურცლების დარიგების ძურების ფაქტი დაფიქსირდა. ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლების მიერ მოსახლე 150 ლარით დაჯარიმდა.



## გზის მოასფალტება



გრძელდება ლამისყანა - თეზი - ოკამის თბილისი - სენაკი - ლესელიძის ჩქაროსნულ მაგისტრალთან შემაერთებელი გზის მონაკვეთის, ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამჟამად მიმდინარეობს კიუვეტების მოწყობა.

გზის სამოსის სამუშაოს დასრულების შემდეგ მოასფალტება დაიწყება.

**დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.**

## 2013 წლიდან საბავშვო ბაღები უფასო გახდა...

ის, რაც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში განხორციელდა (ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული სამუშაოები) კასპის მეორე საბავშვო ბაგა-ბაღში, ალბათ, ამ დაწესებულების ისტორიას არ ახსოვს. კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის უდიდესი ძალისხმევითა და მხარდაჭერით ჩატარდა უმნიშვნელოვანესი სამშენებლო, აღდგენითი და სარემონტო სამუშაოები...

— მთავრობის მიერ აღებული დღევანდელი კურსი საკუთარ თავზე გამოვცადეთ. შარშან, ზაფხულში მოხდა ბაღის შენობის სრული რეაბილიტაცია, მანამდე, რა თქმა უნდა, შეიცვალა შენობის სახურავი. მოწესრიგდა გარე ფასადი, მოასფალტდა ეზო, სრულად გარემონტდა თითოეული ოთახის კარ-ფანჯარა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ასრულდა ჩვენი ბავშვებისა და მათი მშობლების დიდი ხნის ნანატრი ოცნება, დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის სისტემა. ერთმნიშვნელოვნად შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენთან დღითიდღე იხვეწება, რაფინირებული ხდება ბავშვთა სასწავლო და საალმზრდელო პროცესი. ინტენსიური სარეაბილიტაციო და აღდგენითი სამუშაოების შემდეგ კომფორტული გახდა ჩვენი სამზარეულო, მისი მუშაობის პროცესი, — აცხადებს ბაგა-ბაღის გამგე თამარ ხოკრიშვილი, — მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების მუდმივი თანადგომითა და ხელშეწყობით ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს ძველი ინვენტარის ახლით ჩანაცვლება. ეტაპობრივად მარაგდება ბაღი ახალი საწოლებით, მაგიდებით, კარადებით, ჭურჭლით, შევიძინეს აგრეთვე, ხალიჩა, ფარდები, საკმარისი რაოდენობის სათამაშოებიც, ასე, რომ ჯგუფები უზრუნველყოფილია მეთოდური და მხატვრული ლიტერატურით, ბაღში საალმზრდელო პროცესი მიმდინარეობს "აღზრდის პროგრამის" გაეროს ბავშვთა ფონდის პროგრამის შესაბამისად.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ 2013 წლიდან ჩვენს ქვეყანაში საბავშვო ბაღები უფასო გახდა, სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ საგრძნობლად გაიზარდა



ბავშვთა კონტინგენტი, ცხადია, ეს აისახა კიდეც ამ დაწესებულების შემდგომ მუშაობაზეც. დიახ, ამჟამად ბაგა-ბაღში მოქმედებს 6 ასაკობრივი ჯგუფი, სიით ირიცხება 235 აღსაზრდელი.

თამამად და ერთმნიშვნელოვნად შეიძლება იმის თქმა, რომ ბაღს ამჟამად გააჩნია მრავალფეროვანი და ამავე დროს, სრულფასოვანი საკვები მენიუ, წარმოიდგინეთ, ჩვენთან ყოველდღიურად წარმოებს კალორაჟის გათვლა, — განმარტავს თამარ ხოკრიშვილი, — ბავშვები მთელი კვირის განმავლობაში ყოველდღიურად იღებენ მაღალკალორიულ საკვებს: ხორცის ნაწარმს, თევზეულს, ქათმის ხორცს, კვერცხს, რძის ნაწარმს, მათ შორის, ხაჭოსა და არაჟანს, ყველს. ბაღს გამოულევალი აქვს ხილი, მაგალითად, ბანანი, ვაშლი და კიდევ სხვა პატარების საყვარელი სასუსნავი.

წლევანდელი სასწავლო წელი ბაღის ბავშვებისათვის და აღმზრდელ-პედაგოგებისათვის, მშობლებისათვის მართლაც რომ გამორჩეული და ამავე დროს საზეიმოც იყო, რადგან მათ გარემონტებულ, გალამაზებულ და კომფორტულ გარემოში უწევთ ყოფნა,



ჯანსაღი და სრულფასოვანი საალმზრდელო-სასწავლო პროცესი დადებითად განაწყობს მთელ კოლექტივს, ბავშვებს, მშობლებს. უფრო მეტიც,



მშობლები უდიდეს კმაყოფილებასა და მადლიერებას გამოთქვამენ იმისათვის, რომ მათი შვილები საიმედო ხელშია, მათივე თქმით, ქალაქის მეორე საბავშვო ბაგა-ბაღში ყველანაირი პირობაა შექმნილი აღსაზრდელების სრულყოფილად განვითარებისათვის.

**სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.**



# საზეიმო მარათონი არა მხოლოდ ბავშვებისთვის



ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე წელსაც ზეიმით, მრავალფეროვანი წარმოდგენებითა და სხვადასხვა აქტივობებით აღინიშნა კასპში. ამ საზეიმო მარათონში პატარებთან ერთად სიამოვნებითა და ხალისით ჩაერთო უფროსი თაობა, აქტიურობდნენ მშობლები, მთელი საზოგადოება... არა მარტო პატარე-



ბის, ყველას გულის გასახარად საზეიმო ტანსაცმელში გამოპრანჭული გოგო-ბიჭები, "პრინცები" და "პრინცესები," ქართული ჩოხოსანი "რაინდები" საზეიმო განწყობითა და მორთულობით კიდევ ერთხელ, ახსენებდნენ მნახველებს, რომ ყველა დროში შვილები ქვეყნის მთავარი საზრუნავია.

ქალაქის ცენტრში, კულტურის სახლის წინ, ღია ცის ქვეშ დილაადრიან შეიკრიბნენ პატარა მუსიკოს-შემსრულებლები, ფერადფერადი ბუშტებით ხელდამშვენებული ქალაქის საბავშვო ბაღების აღსაზრდელები. საზეიმო ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური /უფროსი თეა ხორბალაძე/, კულტურის დაწესებულებების გაერთიანება /დირექტორი მიხეილ ქოსაშვილი /, საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი "ახალი განთიადი".



მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ ეს დღე დაუვიწყარი, ლამაზი და დასამახსოვრებელი ყოფილიყო.

მარტო ბავშვები კი არა, უფროსი თაობის, ასაკოვანი ადამიანებიც კი მოიხიბლნენ დედაქალაქიდან სპეციალურად ამ დღისათვის ჩამოტანილი გასართობი /6 დასახელების/ ატრაქციონებით.

პ ა ტ ა რ ე ბ ი ნებივრობდნენ კარუსელებზე, სახალისო საქანელებზე, თოკებიან სახტუნაოებზე, დიდ-პატარის ჟრიამული ისმოდა "ბატუტის" გარშემო, ყველა თავის რიგს ელოდა, რათა გალაღებული ჩამოსრიალებულიყო ნანატრ სასრიალოდან...

დღესასწაულზე წინასწარ მომზადებული, ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანი კონცერტით წარდგნენ მაყურებლის წინაშე ქალაქის საბავშვო ბაღების აღსაზრდელები და კულტურის ცენტრთან არსებული სტუდიის /ხელმძღვანელი ზაზა მენაბდიშვილი/ ბავშვები, საესტრადო სიმღერების ინდივიდუალური შემსრულებლები.

საზეიმო ღონისძიებაზე ყველას ყურადღება მიიქცია სახელდახელოდ მოწყობილმა "პატარა მხატვრების" გამოფენამაც,



თავს კომფორტულად გრძნობდნენ მოხალისე მხატვრები, რომლებიც ასფალტზე ხატავდნენ სხვადასხვა კომპოზიციებს, არ ნელდებოდა ცეკვა-თამაში, ისმოდა



საზეიმო მარათონს სტუმრობდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, რომელიც გულითადად მიესალმა ბავშვებს, მათ მშობლებს, დამსწრე საზოგადოებას და მიულოცა საერთაშორისო დღესასწაული, კონცერტის ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა აქტიურობისათვის.

დღის ბოლომდე ისმოდა ქალაქის ცენტრში პატარების ხალისიანი ჟრიამული, ნაცნობი მელოდიები და ზეიმის დამსწრე მშობლების თუ უბრალოდ უფროსი თაობის მოწონებისა და სიხარულის გამომხატველი შეძახილები. დღესასწაულს უძღვებოდა კასპის მუნიციპალიეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, ხოლო მუსიკალურ გაფორმებას მიხეილ ქოსაშვილი. ამ დღეს ყველა ბავშვების გახარებაზე ზრუნავდა, ბავშვების სიცილი და კმაყოფილება ერთგვარი ჯილდო იყო უფროსებისათვის. და კიდევ, ვიტოვებთ იმედს, მომავალ ბავშვთა დაცვის დღეს საკუთარი ატრაქციონებით შეხვდება ჩვენი ქალაქი.

**კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.**



## მუსიკალური ცხოვრების ქრონიკები

# ქართული მუსიკის საღამო

კასპის სამუსიკო სკოლის დარბაზში გაიმართა ყოველწლიური ქართული მუსიკის საღამო, რომელშიც მონაწილეობდა სასწავლებლის ბავშვთა მთლიანი კონტინგენტი, შესრულდა საგუნდო, ვოკალური და საფორტეპიანო ნაწარმოებები.

კონცერტი გახსნა პირველ და მეორე კლასელთა გუნდმა, რომლის ხელმძღვანელი გახლავთ მუსიკალური სკოლის თეორეტიკოსი ზვიად კირვალიძე. გუნდმა ორი სიმღერა /"ანბანი" და "სიმღერა დედაზე"/ შეასრულა.

შემდეგ ქართულიხალხური სიმღერა – "მზე შინა და მზე გარეთა" შეასრულა პირველი კლასის მოსწავლემ ნუცა დარიძე, – "საჭიდაო" შეასრულა პირველი კლასის მოსწავლემ მიხეილ ჟივიძემ /პედაგოგი ლეილა თათანაშვილი/. "მზე შინა და მზე გარეთა" - ანსამბლი, დამუშავებული არაყიშვილის მიერ შეასრულა მეორე კლასის მოსწავლემ ქრისტინე ბერიანიძემ /პედაგოგი შეშაბერიძე/. კომპოზიტორი ნუნუ დულაშვილი, ტექსტი ნიაზ დიასამიძე, "მინდა ღიღილო ჩაგაკრა თმაში" – შეასრულა საესტრადო განყოფილების მოსწავლემ გურამ ქამხაძემ /პედაგოგი ნინო ხუციშვილი/. მ. დავითაშვილი, "ანდანტინო", შეასრულა მეორე კლასის მოსწავლემ ნათია კურტანიძემ /პედაგოგი მანანა სოზიაშვილი/. ქართული ხალხური "ჟუჟუნა წვი-



მა" დამუშავებული ექსანიშვილის მიერ, შეასრულა მესამე კლასის მოსწავლემ სანდრო ყაზარაშვილმა /პედაგოგი ნინო ყოჩიშვილი/. კურტიდი, "საკოლმეურნეო სიმღერა," ანსამბლი შეასრულეს მეორე და მესამე კლასის მოსწავლეებმა ნათია კურტანიძემ და თი გამყრელიძემ /პედაგოგი ყოჩიშვილი/. აჟღერდა დიმიტრი არაყიშვილის "უზუნდარა," შემსრულებელი პირველი კლასის მოსწავლე მარიამ სულაშვილი /პედაგოგი ყოჩიშვილი/. კომპოზიტორ მერაბიშვილის "პიესა" შეასრულა პირველკლასელმა ლიზი ხუციშვილმა /პედაგოგი ნონიაშვილი/. ლომ-



*დასასრული გვ-7.

*შეგიძლიათ, მოგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები.*
*ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.*

**გამოიწერით "ახალი განთიადი" და გახდით ჩვენი მკითხველი!**

*დასასრული.

ნიკო თინიკაშვილმა / პედაგოგი სოზიაშვილი/. კომპოზიტორი მ. მერაბიშვილი, "კატა ფეფო"- შეასრულა მეორე კლასის მოსწავლემ სალომე ნონიკაშვილმა /პედაგოგი ბათილაშვილი/. მ. ფარცხალაძე, "ჩივილი"- შეასრულა მეორე კლასის მოსწავლემ თამარ გოგიაშვილმა /პედაგოგი ანა ნონიაშვილი/. ნ. ბრეგვაძე, "ნანა"- შეასრულა მეორე კლასის მოსწავლემ ხატია გინტურმა /პედაგოგი ბათილაშვილი/. ა. შავერზაშვილი, "მარში"- შეასრულა მეორე კლასის მოსწავლემ ლიზი ტალახაძემ /პედაგოგი ნონიაშვილი/. ეთერ ჭელიძის მუსიკა შეასრულა საესტრადო განყოფილების მოსწავლემ ნატუკა ჟივიძემ /პედაგოგი ნინო ხუციშვილი/. კომპოზიტორი ვაჟა დურგლიშვილი, "იავნანა"- შეასრულა მეორე კლასის /პედაგოგი ლომსაძე/ მოსწავლემ ანანო იმერლიშვილმა. ოთარ თაქთაქიშვილი, "ვალსი"- შეასრულა მესამე კლასის მოსწავლემ ანუკი ბაინდურაშვილმა/ პედაგოგი ნონიაშვილი/. მ. მერაბიშვილი "ადვილი ვარიაციები" სოლ მინორი, შეასრულა მესამე კლასის მოსწავლემ ქეთა ბუნტურმა /პედაგოგი თათანაშვილი/. კომპოზიტორი სულხან ნასიძე, "პატარა ოსტატის სიმღერა"- შეასრულა მესამე კლასის მოსწავლემ ნიკა ბეგლარაშვილმა /პედაგოგი ლალი ღვინიაშვილი/. ნ. ბრეგვაძე, "ნანა"- შეასრულა მესამე კლასის /პედაგოგი ნონიაშვილი/ მოსწავლემ ანამარია კაჭიურმა. ჭანჭალეიშვილი, "ვალსი"- შეასრულა მესამე კლასის მოსწავლემ ლიზი მიდელაშვილმა /პედაგოგი ღვინიაშვილი). ტურიაშვილი, "ანდანტე კანტაბილე"- შეასრულა მეოთხე კლასის მოსწავლემ მარიამ კარბელაშვილმა /პედაგოგი ბათილაშვილი/. ლ. ლოლუა "მელოდია"- შეასრულა მეოთხე კლასის მოსწავლემ ეთერ ბაინდურაშვილმა /პედაგოგი ნონიაშვილი/. დ. ჩხეიძე, "ელეგია"- შეასრულა მეოთხე კლასის მოსწავლემ მერი ნათაძემ /პედაგოგი ბათილაშვილი/. ტურიაშვილი, "ძველი სარკე"- შეასრულა მეოთხე კლასის მოსწავლემ თეკლა გვარამაძემ /პედაგოგი შეშაბერიძე/. დები იშხნელები, "თეთრი ვარდები"- შეასრულა საესტრადო განყოფილების მოსწავლემ ანამარია მზარეულაშვილმა /პედაგოგი ნინო ხუციშვილი/. ტურიაშვილი, "ანდანტე კანტაბილე"- შეასრულა მეოთხე კლასის მოსწავლემ მერი ნათაძემ /პედაგოგი ბათილაშვილი/. კომპოზიტორი გურამ ბზვანელი, "პრელუდია"- შეასრულა მეხუთე კლასის მოსწავლემ გურამ ქამხაძემ /პედაგოგი ანა ნონიაშვილი/. არჩილ კერესელიძე, "ვედრება," კონცერტი, შეასრულა მეხუთე კლასის მოსწავლემ გურამ ქამხაძემ /პედაგოგი ნონიაშვილი/. მერაბიშვილი "საღამო"- შეასრულა მეხუთე კლასის მოსწავლემ თეკლა ქურასბედიანმა / პედაგოგი ღვინიაშვილი/. გ. ყანჩელი, მუსიკა კინოფილმიდან "შერეკილები"- შეასრულა მეხუთე კლასის მოსწავლემ მარიამ სალხინაშვილმა /პედაგოგი სოზიაშვილი/. მერაბიშვილი, "მხიარული წუთი" ანსამბლი, შეასრულეს მეხუთე კლასის მოსწავლეებმა ანამარია მზარეულაშვილმა და ანამარია ნონიაშვილმა /პედაგოგი თათანაშვილი/. ფარცხალაძე, "ცირკში"- შეასრულა მეექვსე კლასის მოსწავლემ მარიამ ჟივიძემ /პედაგოგი

## მუსიკალური ცხოვრების ქრონიკები

# ქართული მუსიკის საღამო

ნონიაშვილი/. სულხან ცინცაძე, "სიმღერა თბილისზე", ასრ. მუს. სკოლის ილუსტრატორი ქეთევან გაჩეჩილაძე, კონცერტი, შეასრულა მეშვიდე კლასის მოსწავლემ მარიამ ტყემალაძემ /პედაგოგი ლომსაძე/. საინტერესო ვილად წარმატებულად ჩაიარა. ბავშვებმა ადვილად გაართვეს თავი, როგორც კლასიკურ, ასევე ხალხური ნაწარმოებების შესრულებას, — აცხადებს სამუსიკო სკოლის დირექტორი შორენა შეშაბერიძე, — წინ კიდევ ორი და დიდი იმედია, რომ კასპელი მოსწავლეები წელსაც გვასახელებენ.

ქართული მუსიკის საღამოს ესწრებოდა კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი ლალი ჯან-



იყო კიდევ ერთი საგუნდო გამოსვლა: "ბახტრიონიდან გიცქერდი," "ჩემი სოფელი," შეასრულა სკოლის პირველ და მეორეკლასელთა გუნდმა, ხელმძღვანელი გიორგი ხასიშვილი.

— ქართული მუსიკის საღამომ ნამდ- საპასუხისმგებლო ღონისძიება გველის — დასკვნითი ორი კონცერტი, სწორედ აქ უნდა შეირჩეს ყველაზე აქტიური, საიმედო მუსიკოსშემსრულებელი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ბორჯომის საერთაშორისო ფესტივალზე ჯალაშვილი, რომელმაც მიულოცა პედაგოგებსა და მშობლებს მოსწავლეების საინტერესო გამოსვლა და აღსაზრდელებს წარმატებები უსურვა.

**კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.**



# "ლექსად თქმული ქართლის ცხოვრება"



მაისის ბოლოს კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის /დირექტორი ლელა პეტრიაშვილი/ თეატრალურმა წრემ (ხელმძღვანელი ლია მენაბდიშვილი) წარმოადგინა ლიტერატურული კომპოზიცია "ლექსად თქმული ქართლის ცხოვრება" და ამავე დროს შეჯამდა წლის განმავლობაში გაწეული მუშაობა. თეატრალიზებულ წარმოდგენაში მონაწილეობდნენ აღსაზრდელები: ანი ბაისონაშვილი, ანზორ დალაქიშვილი, მარი მარქარაშვილი, თემო ირემაშვილი, ანი სეხნიაშვილი, ტატო ჭუმბაძე, სალომე ნაცვლიშვილი, მარი ელბაქიძე, ელენე ავალიანი.

მოსწავლეებმა პოეზიის დახმარებით მოიხილეს საქართველოს ისტორია ფარნავაზ მეფობის წლებიდან დღევანდლამდე.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა მსჯელობა, ბავშვებმა აზრი გამოთქვეს, გაბედულად დააფიქსირეს თავისი შეხედულებები, რა თქმა უნდა, იყო აზრთა სხვადასხვაობა. შემდეგ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორმა ლალი ჯანჯალაშვილმა შეაქო ბავშვების შემოქმედება, გაესაუბრა მშობლებსა და წრეების ხელმძღვანელებს... ღონისძიებას ესწრებოდნენ და საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს გამართულ წარმოდგენასთან დაკავშირებით მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელმა ნანა მერებაშვილმა, საგალობლების შემსწავლელი წრის ხელმძღვანელმა ლალი კალატოზიშვილმა, კასპის საქალაქო ბიბლიოთეკის მენეჯერმა მაია აბუაშვილმა, მშობლებმა მაია ქესაურმა და ნინო ზერეკიძემ, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სპეციალისტმა იზაბელა კობიაშვილმა.



დაბოლოს, თეატრალური წრის ხელმძღვანელმა ლია მენაბდიშვილმა დამსწრე საზოგადოებასა და მოსწავლეებს, მათ მშობლებს გააცნო წრის მუშაობის სპეციფიკა და გეგმა, ყურადღება გაამახვილა წრის აღსაზრდელის თაკო მუმლაურის მიერ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში გამართულ კონფერენციაზე მიღწეულ წარმატებაზე. საქმე ის გახლავთ, რომ კასპელი თაკო მუმლაურის მიერ კინოსექციაში წარდგენილმა თემამ "დღეები და ღამეები," რომელიც ეხებოდა საქართველოს საზოგადოებრივი არხის ამავე სახელწოდების პროექტის ათ სატელევიზიო მხატვრულ ფილმს, ჟიურის მაღალი შეფასება დაიმსახურა და გადაეცა სიგელი.

**კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.**

# "მუსიკოსები უკრავენ მომავალი მუსიკოსებისთვის"



კასპის სამუსიკო სკოლაში (დირექტორი შორენა შეშაბერიძე) გაიმართა კლასიკური მუსიკის კონცერტი, რომლის ინიციატორი და ხელშემწყობი გახლდათ თბილისის სახელმწიფო კონსერვა-




ტორია. საქმე ის გახლავთ, რომ მუსიკალური პროექტი სახელწოდებით "მუსიკოსები უკრავენ მომავალი მუსიკოსებისათვის", — თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკოლოგიისა და კომპოზიციის ფაკულტეტზე პედაგოგიკის სასწავლო კურსის ფარგლებში შემუშავდა (პროექტის ხელმძღვანელი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მუსიკის ექსპერტ-კონსულტანტი, პედაგოგიკის დოქტორი რუსუდან თაყაიშვილი) და მის განხორციელებაში აქტიურად ჩაერთო კასპის სამუსიკო სკოლა...

— პროექტი მიზნად ისახავდა კასპის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების მოსწავლეთათვის და არა მხოლოდ მათთვის, კონსერვატორიის სტუდენტების მონაწილეობით კონცერტის ორგანიზებას, მომზადებას, რომლის რეპერტუარში იქნებოდა როგორც კლასიკური მუსიკის, ასევე, ძველი ქართული პროფესიული მუსიკის ნიმუშები, — აცხადებს აღნიშნული პროექტის ორგანიზა-



ტორი და ერთ-ერთი ავტორი, კასპის სამუსიკო სკოლის პედაგოგი და საეკლესიო მუსიკოლოგიის დოქტორანტი ეკა ყაზარაშვილი, — მოკლედ, აქ, მთავარი აქცენტი გადატანილი იყო იმაზე, რომ კონსერვატორიის სტუდენტებთან ერთად უნდა დაეკრათ პატარა კასპელ მუსიკოს-შემსრულებლებსაც, ერთი სიტყვით, პროექტის ავტორთა ჩანაფიქრმა მიზანს მიაღ-



წია და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს მუსიკალური პროექტი უდავოდ ხელს შეუწყობს კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას ჩვენს რაიონში და კიდევ უფრო მეტი მოზარდი დაინტერესდება კლასიკური მუსიკის შესწავლით.

მაშ ასე, კონცერტში მონაწილეობდნენ კონსერვატორიის სხვადასხვა საშემსრულებლო ფაკულტეტის სტუდენტები და კასპის სამუსიკო სკოლის წარჩინებული მოსწავლეები, ამავე დროს საკონცერტო რეპერტუარში იყო ცალკეული ანსამბლების გამოსვლა... ეს იყო ულამაზესი, ძალიან ემოციური და შთამბეჭდავი, დაუვიწყარი მუსიკალური ღონისძიება. კონცერტი გაიხსნა შუბერტის ნაწარმოებით, შესრულდა ინტროდუქცია და ვარიაციები /თხზ. 25/, ფლეიტას პარტიას ასრულებდა კონსერვატორიის პირველი კურსის სტუდენტი ცირა მოსიაშვილი, კონცერტმეისტერი ეკატერინე ყაზარაშვილი. შემდეგ სცენა დაეთმო კასპის სამუსიკო სკოლის მეოთხე კლასის /პედაგოგი თათანაშვილი/ მოსწავლეს ნინო სისაურს, რომელმაც შეასრულა რუბინის ვალსი. კომპოზიტორი გია ყანჩელი, მუსიკა კინოფილმიდან "ცისფერი მთები," შეასრულა მეოთხე კლასის მოსწავლემ გიორგი გარაყანიძემ /პედაგოგი ნინო ყოჩიშვილი/. აპლოდისმენტებით შეხვდა დარბაზი მეხუთე კლასის /პედაგოგი სოზიაშვილი/ მოსწავლეს მარიამ სალხინაშვილს, რომელმაც შეასრულა გია ყანჩელის ცნობილი მუსიკა კინო-ფილმ-



კომპოზიტორი ვ. აზარაშვილი, "ნოქტიურნი", ასრულებდა მეშვიდე კლასის მოსწავლე მარიამ ბერიაშვილი, /პედაგოგ სოზიაშვილის კლასი/.

კასპელი მოსწავლეების გამოსვლების შემდეგ სცენა ისევ სტუმრებმა დაიკავეს: ნ. ვაკაი, რომეოს არია ოპერიდან "რომეო და ჯულიეტა", ასრულებდა კონსერვატორიის მესამე კურსის სტუდენტი მარგალიტა



ტერი ეკატერინე ყაზარაშვილი. შემდეგ გაჟღერდა ბეთჰოვენის მერვე სავიოლინო სონატა /ნაწილი პირველი/, ვიოლინოს პარტიას ასრულებდა მარიანა კირაკოზოვა, ხოლო ფორტეპიანოსთან ლიკა ხორბალაძე. რახმანინოვი, "იასამანი", ასრულებდა მეორე კურსის სტუდენტი გვანცა ჯმუხაძე, კონცერტმეისტერი ლიკა ხორბალაძე.

ს. ცინცაძე, "საჩიდაო", ასრულებდნენ მარიანა კირაკოზოვა /ვიოლინო/ და ლიკა ხორბალაძე /ფორტეპიანო/. კომპოზიტორი ვ. გლუკი, ორფევსის არია ოპერიდან "ორფევსი და ევრიდიკე", ასრულებდა მარგალიტა ქორიძე, კონცერტმეისტერი ეკატერინე ყაზარაშვილი. ფ. სორის ვარიაციები მოცარტის თემაზე გიტარის თანხლებით შეასრულა გიორგი კუზანაშვილმა. ა. კორელი, სონატა /№8. თხზ. 5/. ვიოლინოსა და გიტარისათვის, ასრულებდნენ გიორგი კუზანაშვილი /გიტარა/ და მარიამ პაპიაშვილი /ვიოლინო/. სცენაზე გამოვი-

ლობელთა სტუდენტური გუნდი, რომელმაც შეასრულა ქართული საგალობლები და კომპოზიტორ მარიკა კვალიაშვილის " უფალი მეფობს" / სიმღერის პრემიერა/. კლასიკური მუსიკის ბოლო აკორდი გახლდათ კამერული ანსამბლი "ტანგო ბაგაბუნდო", ასრულებდნენ ლიკა ხორბალაძე /ფორტეპიანო /, მარიანა კირაკოზოვა /ვიოლინო/, ლაშა ლეკიშვილი /გიტარა/, ლევან გომელაური /აკორდეონი/ . ეს იყო ამ საინტერესო შეხვედრის მხიარული დასასრული.



# ხალხური და საესტრადო სიმღერის მუნიციპალური კონკურსი



კასპის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობისათვის 2009 წლიდან მოყოლებული ტარდება ხალხური და საესტრადო სიმღერის კონკურსი, რომლის მიზანია ქართული სიმღერის პოპულარიზაცია.

დებულების თანახმად შემოქმედებით კონკურსში მონაწილეობენ 5-დან 18-წლამდე ასაკის ინდივიდუალური შემსრულებლები და თვითმოქმედი კოლექტივები. კონკურსის მხარდამჭერი გახლავთ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი.

— უკვე წლებია, ტარდება განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი მუნიციპალური კონკურსი და ამ რვაწლიანმა გამოცდილებამ ნათლად დაგვანახა, რომ კონკურსის ფარგლებში ბევრი ნიჭიერი და იმედის მომცემი მუსიკოს-შემსრულებელი გამოვლინდა, — აცხადებს კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მიხეილ ქოსაშვილი, — კონკურსის მონაწილე პატარა შემსრულებლები, მოზარდები, ვოკალური ანსამბლები, ხალხური სიმღერებისა თუ ქართული საგალობლების შემსრულებლები დღითიდღე იხვეწებიან და მოტივირებული ხდებიან. უფრო მეტის თქმაც შეიძლება, თუ გადავხედავთ ჩვენი რაიონიდან დიდ სცენაზე მოღვაწე მომღერლების სტატისტიკურ მონაცემებს, ნათელი სურათი იკვეთება, დიახ, არაერთი მუსიკოს-შემსრულებელი სწორედ ამ კონკურსის შემდეგ გახდა ცნობილი.

მიმდინარე წლის 14 ივნისს ქალაქის კულტურის ცენტრში ჩატარდა საესტრადო სიმღერის კონკურსი (ინიციატორი და ორგანიზატორი კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, პროექტის ავტორი, კულტურის დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტი ზაზა მენაბდიშვილი) სახელწოდებით "და სიმღერისთვის შეიქმნა ადამიანი" — რომელშიც მონაწილეობდნენ 5-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და ახალგაზრდების 28 ინდივიდუალური შემსრულებელი, ორი ვოკალური ანსამბლი და სამი დუეტი... კონკურსი შეაფასა კომპეტენტურმა და წარმომადგენლობითმა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში გახლდათ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე კახა ცაბაძე, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის რეჟისორი, ბოლნისის თეატრის მთავარი რეჟისორი ზურაბ ხვედელიძე, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის რეჟისორი ზურაბ გუგუშვილი. ღონისძიებას ესწრებოდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი.







საესტრადო სიმღერის კონკურსანტები:

პირველი ჯგუფი: ზემო ხანდაკის სამუსიკო სკოლის გუნდი (ხელმძღვანელი ნინო ძებისაშვილი), კონცერტმეისტერი მანანა ზუბიაშვილი. დოესის სამუსიკო სკოლის გუნდი (ხელმძღვანელი ეთერ წიწიკაშვილი), "მეგობრობის სიმღერა" და "გაზაფხულის დილა გათენდა," მუს. ვ. დურგლიშვილის. მიხეილ ჟივიძე (7 წლის, კასპის სამუსიკო სკოლა), "ჰერიო ბიჭებო", მუს. ჯ. კახიძე, "ჩემი სიყვარული", მუს. კ. ცაბაძე. დიანა ბოჭორიშვილი (7 წლის, ახალქალაქის სამუსიკო სკოლა), "საქათმეში შეპარულა მელა".



მეორე ჯგუფი: აჩიკო მიგრიაული (9 წლის, კასპის კულტურის ცენტრი, ხელმძღვანელი ზაზა მენაბდიშვილი), "აქ ემღერება გულს", "კარკუჩით წამოიყვანეს". თათია ედიშერაშვილი (10 წლის, კასპის კულტურის ცენტრი), "ილვიძებს ჩემი თბილისი". გიორგი გაბისონია (კასპის კულტურის ცენტრი), "მოვალ და მოგეფერები", "ქუჩა ქუჩა", "მოიტაცეს თამარ ქალი'. ანი ოქროპირიძე (7 წლის, კასპის კულტურის ცენტრი), "თოჯინა", მუს. ზ.ჩინჩალაძე. მარიამ ბერიძე (6 წლის, კასპის კულტურის ცენტრი), "ჭიამაია", მუს. მაია ჭელიძე. ნუცა ბერიანიძე (5 წლის, კასპის კულტურის ცენტრი), "ყაყაჩოები" და "ორი რეზო". ბარბარე მიდელაშვილი (5 წლის, ხოვლის საბავშვო ბაღი),





"ცისარტყელები" და "საქათმეში შეპარულა მელა". თამარ დავითაშვილი (5 წლის, კასპის მეორე საბავშვო ბაღი). ნია ქეშელაშვილი (7 წლის,

წლის, ზემო ხანდაკის სამუსიკო სკოლა), "დედა ქართლისა", მუს. ეთერ ჭელიძის. ლიკა ახვლედიანი (11 წლის, წინარეხის საბაზო სკოლა), "ყელსაბამი", მუს. ნ. გაბუნია, "განა ცა არის", მუს. გ. ცაბაძე. ანი დავითაშვილი (10 წლის, სასირეთის საჯარო სკოლა), "მერი პოპინსი". ანანო მეშველაშვილი (12 წლის, კასპის კულტურის ცენტრი), "სულ ზევით ზევით", "ლირე", უცხოური. ანანო ოდოშაშვილი (8 წლის, ახალქალაქის სამუსიკო სკოლა), "ოდელია დელა", მუს. ი. გურგულია, "მერი პოპინსი". გიორგი ჯავახიშვილი (10 წლის, კასპის კულტურის ცენტრი), "პაწაწინა რტო", "ილვიძებს ჩემი თბილისი".

მესამე ჯგუფი: გვანცა მამაცაშვილი (16

წინარეხის საბაზო სკოლა). ანა-მარია ბოჭორიშვილი (5 წლის, მეტეხის საბავშვო ბაღი).

უცხოური: მარიამ ბარნაბიშვილი (14 წლის, სასირეთის საჯარო სკოლა), "იები" (- 2), უცხოური "ალილუია" (+1). მაკა გულიაშვილი (15 წლის, სასირეთის საჯარო სკოლა), "ილვიძებს თბილისი". გიგა ბერიაშვილი (15 წლის, სასირეთის საჯარო სკოლა), "ყვავილების ქვეყანა"(+3) და "ჩემო თბილის ქალაქო". გიორგი ბერბიჭაშვილი (15 წლის, წინარეხის საბაზო სკოლა), "მზის სიმღერა", მუს. ჯ. კახიძის. მარიამ ტატიშვილი (13 წლის, წინარეხის საბაზო სკოლა), "ინათებს მალე", მუს. რ. ლაღიძის და "ჩემი საქართველო აქ არის", მუს. გ. ცაბაძის. ეთო მახარაძე (16 წლის, კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი), "იები" და "ის ვაჟი". ანა-მარია ნონიაშვილი (13 წლის, კასპის სამუსიკო სკოლა), "ილვიძებს თბილისი". ტატო ბეჟიტაშვილი (18 წლის, სასირეთის საჯარო სკოლა), "სადღაც შორს". ნატო ჟივიძე (13 წლის, კასპის სამუსიკო სკოლა), "დავალ საყვარელ ქუჩებში", მუს. ვ. აზარაშვილი, "მზე ჩემი მეგობარია", მუს. ე. ჭელიძე.

ხალხური სიმღერის კონკურსანტები:

აღაიანის სასოფლო კლუბის ხალხურ საკრავთა ანამბლი (ხელმძღვანელი თამაზ დურგლიშვილი) "თხოთი", "თუშური მელოდიები" და "აჭარული". ქვემო ჭალის კულტურის სახლის ანსამბლი (ხელმძღვანელი თამარ საჩალელი), "დაუკარით რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს", "რაჭული". სოფელ ფერმის საჯარო სკოლა, "შენმა სურვილმა დამლია". ქვემო ჭალის კულტურის სახლის ანსამბლი (ხელმძღვანელი გიორგი ხასიშვილი, სოლისტი ნიკა ოქროპირიძე), "ხოხბის ყელივით ლამაზი", "იალაღებზე". ქვემო ჭალის კულტურის სახლი, ძმები ხელაშვილები, ხელმძღვანელი გიორგი ხასიშვილი. კასპის სამუსიკო სკოლის მომღერალთა გუნდი (ხელმძღვანელი გიორგი ხასიშვილი), "იმავ მთაზედა", "ცელო მოუსვი ბალახსა". კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მომღერალთა გუნდი (ხელმძღვანელი ლალი კალატოზიშვილი.)

ამდენად, მუნიციპალური კონკურსის ორივე ტური დასრულდა, ცნობილი გახდა ისიც, რომ ჟიურის მიერ გამოვლენილი პირველ, მეორე, მესამე ადგილზე გასული და გრან-პრის მფლობელი მუსიკოს-შემსრულებლები მონაწილეობას მიიღებენ გალა-კონცერტში, რომელიც უახლოეს დღეებში გაიმართება. პროექტის კოორდინატორი და წამყვანი ლია სოზიაშვილი.

**კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.**

## მადლობა

ერთ ჩვეულებრივ დღეს სამსახურიდან წამოსული ჩვეული აჩქარებით შევედი მაღაზიაში და სიჩქარეში დახლზე დამრჩა საფულე, სადაც საბუთებთან ერთად მქონდა ახლადაღებული ხელფასი.

მაღაზიის თანამშრომლებმა ეკა ლომსაძემ და გულნარა მჭედლიშვილმა რამდენიმე დღის ძებნის შემდეგ დამიბრუნეს დაკარგული საფულე.

გაზეთის საშუალებით უღრმეს მადლობას მოვახსენებ ქალბატონ ეკას და გულნარას, იმედია, მათი გულისხმიერება, სიკეთე და მაღალი სანთელ-საკმეველივით არ დაკარგავენ ძალას და აუცილებლად სასიკეთოდ დაუბრუნდება გულითად ადამიანებს.

დიდი მადლობა ჩემს მიმართ გამოჩენილი გულისხმიერებისთვის.

**პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი ლია ხითარიშვილი.**

## გილოცავთ

ქართული სპორტის ქომაგს, ჩვენს ერთგულ და უღალატო მეგობარს ნუკრი (პარკო) გურასპაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ბედნიერებას, ულევ სიხარულს საყვარელ დედასთან და ოჯახთან ერთად.

მეგობრები.



## განცხადება

2017 წლის 16 აგვისტოს 14 საათზე, ქ. კასპში, ჭავჭავაძის ქუჩა №35, გაიმართება ინდივიდუალური მეწარმე "სერგო ჯოჯიშვილი"-ს დაქვემდებარების საწარმოო ობიექტის – პლასტმასის ნაკეთობების წარმოების და პლასტმასის ნარჩენების აღდგენის (გადამამუშავებელი) საწარმოს, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. კასპი, ჭავჭავაძის ქუჩა №35, ს.კ. 67.01.17.001, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს – პლასტმასის ნარჩენებისაგან, პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის გრანულებისაგან პლასტმასის ნაკეთობების წარმოება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართზე:

ქ. კასპი, ჭავჭავაძის ქუჩა №35.

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი: 599 10-81-15.

ადმინისტრაცია, ი.მ. "სერგო ჯოჯიშვილი".

## „ნუ მივატოვებთ ერთმანეთს"



სოციალურ-მუსიკალური პროექტი "ნუ მივატოვებთ ერთმანეთს" პროგრამა "ასწავლე საქართველოსთვის" პედაგოგმა იზა ჩაკვეტაძემ გასულ წელს დაიწყო მესტიის მუნიციპალიტეტში. პროექტი ეხმარება ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვებს. წელს იგი წინარეხის საჯარო სკოლის ორგანიზებით ჩატარდა კასპის მუნიციპალიტეტში ქვემოჭალელი 3 წლის ზაქარია შიუკაშვილის დასახმარებლად.



კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის, კულტურის გაერთიანების მხარდაჭერით ქალბატონი იზა დაუკავშირდა კასპის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა მეცენატ ადამიანებს, რომლებმაც ღონისძიებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს და კასპის კულტურის ცენტრმაც უსასყიდლოდ უმასპინძლა შეკრებილებს.

კონცერტი გახსნა მოწვეულმა სტუმარმა, პროექტ "ნიჭიერის" ფინალისტმა გულნაზ გოლეთიანმა სიმღერით – "ნუ მივატოვებთ ერთმანეთს". განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ლეჩხუმიდან და სვანეთიდან სპეციალურად ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ პატარა მომღერლები მარიამ ქურასბედიანი და ციცი ნემსიწვერიძე.

პროექტის ორგანიზებას ფინანსური მხარდაჭერა გამოუცხადეს წინარეხის საკრებულოს თანამშრომლებმა, სკოლის დირექტორმა, სოფლის დამოუკიდებელმა დეპუტატმა ია ირემაშვილმა და ბიზნესმენმა მერაბ ტალახაძემ.

ბილეთებიდან შემოსული თანხა კონცერტის დასასრულს გადაეცა ზაქარია შიუკაშვილის დედას – თამარ ნადარეიშვილს, რომელმაც დიდი მადლიერება გამოხატა მისი შვილის დახმარებისათვის.

საქველმოქმედო კონცერტს უძღვებოდნენ წინარეხის საჯარო სკოლის მოსწავლეები მარიამ მუხიგულაშვილი, ანი ქეშელაშვილი და ნინო მჭედლიშვილი.



## ფოტო-მატიანე

„ახალი განთიადი" იწყებს საინტერესო სურათების საგაზეთო ფოტო-მატიანის შესაქმნელად. თხოვნით მივმართავთ თანარაიონელებს - დატოვეთ თქვენი ყველა ჩვენს მატიანეში! გამოგვიგზავნეთ საინტერესო და ახალი ფოტოები!

## "ფრთიანი ფრაზები"

ბავშვობაში ნათქვამი "ფრთიანი ფრაზები" მთელი ცხოვრება ალამაზებენ მოგონებებს, ისინი დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ "ოქროს ფონდში," თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაური თავყრილობის მთავარი სახალისო საამბობნი არიან. შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო წუთები ჩვენს რუბრიკაში "მაკნატუნა" და გახდით რუბრიკის სტუმარი

შეგიძლიათ, მოგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.





**გამოიწერეთ "ახალი განთიადი" გახდით ჩვენი მკითხველი!**

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ კასპი სააკაძის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76